დედოლარიზაციის სტრატეგია, როგორც საქართველოს საფინანსო სისტემის მდგრადი განვითარების სტაბილურობის გარანტი - რისკები და გამოწვევები

ჭიოტაშვილი დავით
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორი
საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი
ORCID-0000-0002-2500-6252

DOI: https://doi.org/10.52340/tuw.2025.38.01.27

აბსტრაქტი: *დღევანდელი მსოფლიოში, რომელიც მუდმივი ცვლილებებისა და გლობალური გამოწვევების გარემოში ვითარდება, მდგრადი განვითარება და ფინანსური სტაბილურობა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესში. მდგრადი განვითარება გულისხმობს ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური მიზნების თანხვედრას, რომელთა შედეგად მიიღწევა ეკონომიკის და ფინანსური სისტემის ისეთი მდგრადობას, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის ფუნქციონირების უწყვეტობას და მინიმუმამდე ამცირებს რისკებს.*

საქართველო, რომელიც გლობალურ და რეგიონალურ ეკონომიკურ პროცესებში აქტიურად მონაწილეობს და გამოირჩევა თავისი მდებარეობით, მუდმივად დგას, როგორც გეოპოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და ფინანსური გამოწვევების წინაშე. ქვეყნის ეკონომიკა უკვე სამი ათწლეულია გადის ეკონომიკური და ფინანსური ტრანსფორმაციის პროცესს, რომელიც დაკავშირებულია მრავალი შიდა და გარე ფაქტორების და გამოწვევების გავლენასთან. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ეროვნული ვალუტის, ლარის, სტაბილურობა. მიუხედავად იმის, რომ ეროვნული ვალუტა არის ქვეყნის წინაშე არსებული ეკონომიკური და ფინანსური რისკების პირველი ინდიკატორი და პრობლემების მაჩვენებელი, იგი მაინც ერთერთ ყველაზე სტაბილურ ინსტრუმენტად რჩება ქვეყნის ეკონომიკისა და ფინანსებისათვის, რომელიც თავის მხრივ მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის დედოლარიზაციის სტრატეგიასთან.

ნაშრომის მიზანია გავაანალიზოთ დედოლარიზაციის სტრატეგია, როგორც საქართველოს საფინანსო სექტორის მდგრადი განვითარების და სტაბილურობის გარანტი, მდგრადი დედოლარიზაციის მნიშვნელობა საქართველოს ფინანსურ სისტემაში და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე.

საკვანძო სიტყვები: *დედოლარიზაციის სტრატეგია; მდგრადი დედოლარიზაცია; საფინანსო სისტემა; დედოლარიზაციის რისკები; ეკონომიკური სტაბილურობა; დედოლარიზაციის ეფექტი.*

შესავალი

საქართველო წარმოადგენს განვითარებად ეკონომიკას, რომელიც ძირითადად დამოკიდებულია მომსახურების სექტორზე. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში განვითარებულია ინდუსტრიული და სხვა სექტორიც, ისინი მაინც არ წარმოადგენენ

ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას. ქართული ეკონომიკის დიდი ნაწილი დაკავშირებულია საგარეო ვაჭრობასთან, რაც ქმნის მნიშვნელოვან სავალუტო და ფინანსურ რისკებს, რადგან ქვეყანას ექმნება დამოკიდებულება უცხოურ ვალუტაზე და განსაკუთრებით აშშ დოლარზე. ამასთან, საქართველომ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ფინანსური რეფორმები განახორციელა, რომელთა მიზანი ქვეყნის საფინანსო სისტემის სტაბილიზაცია იყო. საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს ეროვნული ვალუტის ლარის კურსის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, თუმცა გარე ფაქტორები, როგორებიცაა ჩვენი ქვეყნისთვის უაღრესად საშიში და დიდი რისკების შემცველი გეოპოლიტიკური მოვლენები, გლობალური ეკონომიკური ტენდენციები, მატერიალური რესურსების ფასი, ინფლაცია და სხვა ფაქტორები ხშირად ქმნის მასშტაბურ სირთულეებს. ამ პროცესების პრევენციის ერთერთი მთავარი მიმართულება არის მდგრადი დედოლარიზაცია, როგორც უცხოურ ვალუტაზე დამოკიდებულების და მისი გამოყენების შემცირება და ეროვნული ვალუტის გააქტიურება ქვეყნის ეკონომიკაში. გამომდინარე აქედან ნაშრომში განიხილება ის მნიშვნელოვანი ამოცანები, როგორებიცაა:

- როგორია და როგორ მიიღწევა მდგრადი დედოლარიზაციის სტრატეგია და როგორ ხდება მისი განხორციელება საქართველოში?
- როგორ აისახება მდგრადი დედოლარიზაციის პოლიტიკა ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობაზე?
- რა რისკების და გამოწვევების წინაშე დგას საქართველო მდგრადი ფინანსური სისტემის ჩამოყალიბების პროცესში?
- რა პერსპექტივები აქვს მდგრადი დედოლარიზაციის პოლიტიკას საქართველოს მომავალში?

განხილვა და დისკუსია:

ეროვნული ვალუტა ერთერთი ყველაზე მგრძნობიარე რგოლია ქვეყნის ეკონომიკაში და ფინანსებში, რომელიც საკუთარ თავზე იღებს საშინაო და გლობალურ ეკონომიკურ რისკებს. მდგრადი დედოლარიზაცია მიზნად ისახავს ქვეყნის ისეთი ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური მიმართულებების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ გრძელვადიანი და მდგრადი განვითარების შესაძლებლობებს.

საქართველოში, სადაც ეკონომიკის განვითარების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საგარეო ვაჭრობას, სავალუტო ბაზრის სერიოზული გავლენა მნიშვნელოვნად იგრძნობა ეკონომიკურ სტაბილურობაზე. სწორედ ამიტომ, ბოლო წლებში, საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ფინანსური დამოუკიდებლობისა და ეროვნული ვალუტის ლარის გაძლიერებისთვის და მდგრადი დედოლარიზაციის მიმართულებით. მდგრადი დედოლარიზაცია ის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესია, რომლის დროსაც ქვეყანა ცდილობს შეამციროს უცხოურ ვალუტაზე დამოკიდებულება ქვეყნის ფინანსურ სისტემაში და გააძლიეროს ეროვნული ვალუტის გამოყენება. დედოლარიზაციის მიზანია ქვეყანაში უცხოურ ვალუტაზე დამოკიდებულების შემცირებით, ფინანსური სისტემის სტაბილურობა და შიდა და განსაკუთრებით გარე ფაქტორებზე დამოუკიდებლობა. მდგრადი დედოლარიზაციის წარმატებული განხორციელება თავის მხრივ ეროვნული ეკონომიკის მდგრადობის წინაპირობაა, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ძირითად მიზნებს:

- სავალუტო რისკების შემცირება - როდესაც ქვეყანა ძალიან დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაზე და ეროვნული ვალუტის კურსის მერყეობა და გარე ფაქტორები, პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე.
- ფინანსური სუვერენიტეტი - როდესაც ქვეყანა იყენებს მხოლოდ ეროვნულ ვალუტას, ის ბევრად დამოუკიდებელია საერთაშორისო ბაზრების რყევებისგან და ხელს უწყობს ფინანსური სუვერენიტეტის ზრდას.

- ინფლაციის კონტროლი - როდესაც უცხოური ვალუტის პროპორცია მაღალია და ზრდის ინფლაციურ ზეწოლას, დედოლარიზაციის პროცესით შესაძლებელია მიზანმიმართული მონეტარული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც იწვევს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას და ინფლაციის შემცირებას.
- ეკონომიკური ზრდა და სტაბილურობა - ისეთი სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობს ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას, ზრდის მოქალაქეთა ნდობას ეროვნული ვალუტის მიმართ და შესაძლებელს ხდის ეკონომიკის გამჭვირვალობას და პროგნოზირებადობას.

მსოფლიო ბანკის ანგარიშის თანახმად, დოლარიზაციას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს როგორც ფინანსურ სტაბილურობაზე, ისე ფინანსურ განვითარებაზე და იგი ფინანსური სექტორის მოწყვლადობის მნიშვნელოვანი წყაროა მსესხებლების საკრედიტო და ლიკვიოდბის რისკის გამო, რადგან სისტემური შოკების დროს ცენტრალური ბანკის მხრიდან უცხოურ ვალუტაში ლიკვიდობის მიწოდების შესაძლებლობა შეზღუდულია. ბოლო პერიოდში, საქართველოში დაკრედიტების დედოლარიზაციის პროგრესის მიუხედავად, დანაზოგების მუდმივმა დოლარიზაციამ, სტრუქტურული ლიკვიდობის დეფიციტი, ადგილობრივი ვალუტით დაფინანსების მაღალი ღირებულება და ადგილობრივი ვალუტით მოთხოვნის ნაკლებობა გამოიწვია, რაც თავის მხრივ აფერხებს ფინანსების ხელმისაწვდომობას და ბაზრის განვითარებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის ანგარიშში წარმოდგენილია ფინანსურ სისტემაში არსებული მოწყვლადობისა და რისკების შეფასება საშუალო და გრძელვადიან პერიოდში, ფინანსური სექტორის სტრუქტურულ მახასიათებლებსა და საქართველოს ეკონომიკის იმ ასპექტებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ფინანსური სტაბილურობისთვის. ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის მიხედვით, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ფინანსური სისტემის მდგრადობის ანალიზს, შინამეურნეობების სესხების დოლარიზაცია შემცირებას განაგრძობს, რაც ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მაკროპრუდენციული პოლიტიკის შედეგია, თუმცა არაჰეჯირებული მსესხებლების სავალუტო რისკი კვლავ საყურადღებოა გაცვლითი კურსის მერყეობის პირობებში. შინამეურნეობების სესხების დოლარიზაცია შემცირდა 28%-მდე, რაც თავის მხრივ მიუთითებს ეროვნული ბანკის მიერ დედოლარიზაციის გრძელვადიანი სტრატეგიის შედეგიანობაზე. 2015-2024 წლებში შინამეურნეობების სესხების დოლარიზაციის პროცესი ასე გამოიყურება: დიაგრამა N1.

შინამეურნეობების სესხების დოლარიზაცია 2015-2024 წწ.

დიაგრამა N1



2024 წლამდე დოლარიზაცია თითქმის 51% იყო, რაც ეროვნული ვალუტისთვის შესაბამისად მაღალი რისკი იყო. დოლარიზაცია ბოლო წლებში დაახლოებით 20%-ით შემცირდა, მსესხებლების რაოდენობა 140 000-დან 40-მდეა შემცირებული. პროგრესი მნიშნელოვანია, მაგრამ პორტფელის მნიშნელოვანი ნაწილი, 45% ჯერ კიდევ დოლარიზებულია. ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, უცხოური ვალუტის სესხის ლიმიტი მათთვის ვისაც შემოსავალი ეროვნულ ვალუტაში აქვს 2024 წლამდე 200,000 ლარი იყო და 2024 წელს ეტაპობრივად, 400,000 ლარამდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების მაქსიმალური ვადა 10 წელი იყო. 2025 წლიდან აღნიშნული ლიმიტი 500,000 ლარამდე გაიზარდა. ასვე კომერციულ ბანკებს მიეცათ მოთხოვნა სავალუტო რეზერვების 20%-მდე გაზრდის შესახებ, რაც 2024 წლამდე იყო 10 % იყო. გამომდინარე იქიდან, რომ უცხოური ვალუტის დეპოზიტების რეზერვების ზრდა სავალუტო რისკბისგან დაცვის ერთერთი ეფექტური საშუალებაა საშუალო და გრძლვადიან პრიოდში, ეროვნული ბანკის პოლიტიკა გამართლბულია. შედეგად, შინამეურნეობების, განსაკუთრებით კი იპოთეკური სესხების, დოლარიზაცია შემცირებულია, შესაბამისად შემცირებულია მსესხებლების სავალუტო რისკებიც.

რეგიონში არსებული პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში, გაცვლითი კურსის დინამიკასთან დაკავშირებული საფრთხეებიც სავალუტო რისკების საფრთხეს ზრდის. რეგიონში არსებული ვალუტების გაცვლითი კურსების მერყეობიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკის მიერ მიღებული შესაბამისი ზომები, რაც რისკების დამატებით შერბილებას უწყობს ხელს.

ამასთან, უცხოური ვალუტის მსესხებლების სტატისტიკის მიხედვით, უცხოური ვალუტით მოქმედი დავალიანება 2021 წელს - 66 ათასს შეადგენდა, ხოლო 2022 წელს 41 ათასს შეადგენდა. დღეის მდგომარეობით ასეთი დავალიანება დაახლოებით 32.6 ათას მსესხებელს (ან მსესხებელთა ჯგუფს) აქვს, რაც თანხობრივად უცხოური ვალუტის სესხების 78.4% შეადგენს. დიდი მოცულობის სესხები შედარებით მაღალ შემოსავლიან მსესხებლებზეა გაცემული და დაბალ რისკიანად ითვლება. უცხოური ვალუტის სასესხო პორტფელის განაწილება 2024 წელს დიაგრამის სახით ასე გამოიყურება: დიაგრამა N2.

უცხოური ვალუტის სასესხო პორტფელის განაწილება 2024 წ.

დიაგრამა N2



საქართველოში დედოლარიზაციის პროცესის წარმატებული განხორციელებისათვის აუცილებელია საკანონმდებლო ხელისუფლების, აღმასრულებელი ხელისუფლების, საფინანსო ინსტიტუტების და ეროვნული ბანკის სისტემური მიდგომა და კოორდინირებული მოქმედებები. ამასთანავე, სახელმწიფომ უნდა მიიღოს გარკვეული რეფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ეროვნული ვალუტის პოპულარიზაციას, იმ სფეროებში სადაც უცხოური

ვალუტის გამოყენება განსაკუთრებით დომინირებს. სისტემური მიდგომა კოორდინირებული მოქმედებები თავის მხრივ გულისხმობს:

- ეფექტურ მონეტარულ პოლიტიკას;
- მხარდაჭერას ეროვნული ბანკის მხრიდან;
- კრედიტების ხელმისაწვდომობას;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

მდგრადი დედოლარიზაცია უზრუნველყობს ქვეყნი ეკონომიკის და მისი ფინანსური სექტორის მდგრადი განვითარებას, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ეკონომიკის და სოციალური კეთილდღეობის თანხვედრას. მიუხედავად იმისა, რომ დედოლარიზაცია სასურველი და აუცილებელი პროცესია საქართველოსთვის, არსებობს არაერთი გამოწვევები, რომლებიც ამ პროცესების წარმატებით განხორციელებას აფერხებს. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომელიც საქართველოს წინაშე დგას, არის ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობა. ლარის კურსის რყევები ხშირად დაკავშირებულია, როგორც გარე ეკონომიკურ ფაქტორებთან, ისე შიდა ეკონომიკურ ფაქტორებთან. ასეთი მერყეობა ამცირებს ადამიანების ნდობას ეროვნული ვალუტის მიმართ და იწვევს დიდ მოთხოვნას უცხოურ ვალუტაზე, რამაც ხელი შეიძლება შეუწყოს დედოლარიზაციის პროცესის შენელებას. მნიშვნელოვანი გამოწვევაა ხალხის მენტალიტეტი. საქართველო, როგორც მრავალი სხვა ქვეყნის მსგავსი ეკონომიკა, გადის რთულ პროცესს. უცხოური ვალუტა, მაშინაც კი, როდესაც ის არ არის ოფიციალურად მიმოქცევაში, განიხილება, როგორც სტაბილური და უსაფრთხო ფასიანი ერთეული. ასეთ ვითარებაში, ადამიანებს უჭირთ სწორი გადაწყვეტილებების მიღება. აქვე აღსანიშნავიაის, რომ აღნიშნული გამოწვევები, რაც დაკავშირებულია ეროვნული ვალუტის კურსის სიმტკიცესთან, შესაძლებელია გადაილახოს თუ იქნება შესაბამისი ეკონომიკური მხარდაჭერა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, რონდელის ფონდის უფროსი მკვლევარი, ვლადიმერ პაპავა თვლის, რომ "ლარიზაცია მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის სიმყარისთვის, თუმცა ის გამოხატავს შეშფოთებას იმის შესახებ, რომ მისი ეფექტური დანერგვა არ შეიძლება მხოლოდ შიდა ბაზრის გათვალისწინებით. საჭიროა სხვა საერთაშორისო ფაქტორების გათვალისწინება, რათა თავიდან იქნას აცილებული საფრთხეები. დოლარიზაციის შემცირების მიმართულებით ნაჩვენები პროგრესის მიუხედავად, ის საქართველოს ეკონომიკის და ფინანსური სისტემის მთავარ გამოწვევად რჩება მომავალ პერსპექტივაში."

დასკვნა

საქართველოში, როგორც განვითარებად ეკონომიკაში, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდება, განსაკუთრებით ფინანსურ სფეროში, სადაც აუცილებელია სტაბილურობა, ინვესტიციების მოზიდვა და გლობალური ეკონომიკური რისკების მართვა. მდგრადი დედოლარიზაციისა და ლარიზაციის პროცესებში ჩართული ქვეყნები განსაკუთრებით მგრძნობიარე არიან ამ გამოწვევებზე, რადგან ცვლილებები ერთ დომინანტურ ფინანსურ სისტემაში გავლენას ახდენს არა მხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ სახელმწიფოს გრძელვადიან სოციალურ და ეკოლოგიურ პოლიტიკაზე.

მდგრადი დედოლარიზაცია, როგორც საქართველოს საფინანსო სექტორის მდგრადი განვითარების სტაბილურობის გარანტია, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა და რისკებისა, ეს პროცესები არამარტო მნიშვნელოვან სტაბილურობას იწვევს, არამედ დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკის ბალანსირებულ და მგდრად განვითარებაზე. მდგრადი დედოლარიზაცია უზრუნველყობს ქვეყნი ეკონომიკის და მისი ფინანსური სექტორის მდგრადი განვითარებას, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ეკონომიკის და სოციალური კეთილდღეობის წინაპირობას..

მდგრადი განვითარება წარმოადგენს გრძელვადიან და რთულ პროცესს, რომელიც

მოითხოვს თანმიმდევრულ მიდგომას და აქტიურ პოლიტიკას, რომ შესაძლებელი გახდეს როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა. შესაბამისი ინსტიტუციური მხარდაჭერის მქონე მდგრადი დედოლარიზაციის სწორი სტრატეგიების და პოლიტიკის მიღება, რომელიც იქნება გათვალისწინებული გარე და შიდა ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, საშუალებას მისცემს საქართველოს მიაღწიოს მდგრად ფინანსურ სისტემას და სტაბილურობას.

მდგრადი დედოლარიზაცია ქმნის არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ სოციალური სტაბილურობას და განვითარებას და იგი დღესაც ერთერთი მთავარი გამოწვევად რჩება საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსებისათვის.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2023). სტაბილურობა და გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარება: საქართველოს საფინანსო ბაზრის ტენდენციები და პროგნოზები. საქართველოს ეროვნული ბანკი. https://www.nbg.gov.ge
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). საქართველოს ეკონომიკური მიმოხილვა: 2023 წლის ანგარიში. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (2023). ფისკალური მაჩვენებლები და საგადასახადო პოლიტიკის მიმოხილვა. თბილისი.
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2023). საგარეო ვაჭრობის სტრატეგია და ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკა. თბილისი.
5. პაპავა, ლ. (2020). ლარიზაცია და მისი ეკონომიკური შედეგები საქართველოში. "საქართველოს ეკონომიკური კვლევების ცენტრი".
6. პაპავა, ლ. (2021). საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარება: თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
7. World Bank. (2023). Georgia Country Partnership Framework: 2021–2025. World Bank. https://www.worldbank.org
8. IMF (International Monetary Fund). (2023). Georgia: 2023 Article IV Consultation Report. International Monetary Fund. https://www.imf.org
9. Georgian Financial Sector Development Strategy. (2021). Challenges and Opportunities for Sustainable Growth. Ministry of Finance of Georgia.

De-dollarization Strategy as a Guarantee of Stability for Sustainable Development of Georgia's Financial System - Risks and Challenges

Tchiotashvili David
Gori State University, Gori
Corresponding Member of the Georgian Academy of Ecological Sciences
ORCID-0000-0002-2500-6252

Abstract

In today's world, which is developing in an environment of constant changes and global challenges, sustainable development and financial stability are among the main priorities in the process of forming a country's economic policy. Sustainable development implies the alignment of economic, financial, and social goals, as a result of which such sustainability of the economy and financial system is achieved that ensures the continuity of the system's functioning and minimizes risks to the minimum. Georgia, which actively participates in global and regional economic processes and is distinguished by its location, constantly faces both geopolitical as well as economic and financial challenges. The country's economy has

been undergoing a process of economic and financial transformation for three decades now, which is associated with the influence of many internal and external factors and challenges. One of the main challenges is the stability of the national currency, the lari. Despite the fact that the national currency is the first indicator of economic and financial risks facing the country and a measure of problems, it still remains one of the most stable instruments for the country's economy and finances, which in turn is closely linked to the country's de-dollarization strategy.

The aim of the work is to analyze the de-dollarization strategy as a guarantee of sustainable development and stability of Georgia's financial sector, the significance of sustainable de-dollarization in Georgia's financial system, and its impact on the country's economic stability.

Keywords: *de-dollarization strategy; sustainable de-dollarization; financial system; de-dollarization risks; economic stability; de-dollarization effect*